# სამშობლო

წ. I 1915 წ.

ოთხშაბათი 6 მაისი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 73 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

შაბათს, ცხრა მაისს, დილის ათ საათზე სოფელ ლანირის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

**გ ი ო რ გ ი ს** (ჟორჟიკა)

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებს მისი ხსოვნის პატივის-მცემელთ გულდამწვარი მშობლები მისი ბარბარე (ვარინკა) გიორგის ასული და ნიკოლოზ (კოკინია) დგებუაძეები.

1-1—200

---

უზომოთ დამწუხრებულნი ქრისტინე ახობაძის ასული, გერასიმე პეტრეს ძე, ფილიპე და სამსონ პაპავები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დ. მანგლისში, მცირე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა პირველის დაუვიწყარი შვილი, მეორესი ძვირფასი ძმა, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარი ბიძაშვილი სათადარიგო ჯარისკაცი

**ალექსანდრე პეტრეს ძე პაპავა.**

მიცვალებულის ცხედარი მოსვენებულ იქნა 4 მაისს დაბა სამტრედიაში. უკანასკნელი გამოთხოვებისა და დაკრძალვის დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 7 მაისს, ნაშუადღევს 2 საათზე დ. სამტრედიაში საკუთარი სახ.

1—1—201

---

4 მაისს ამა წელსა მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა ყოფილი ინსპექტორი აშტარაკის სამოქალაქო სასწავლებლისა

**მელიტონ ქაიხოსროს ძე ჯიჯინაძე.**

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე მისი მარიამ თედორეს ასული და ძენი დავით და კონსტანტინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაკრძალვა მოხდება ამა მაისის 7-ს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე ოღასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. პეტრე-პავლეს ქუჩა, ზაქარიაძის სახლი.

1—1—202

---

ქუთაისის თეატრი

ქართველ. მსახ. ამხანაგობის მიერ ოთხშაბათს, 6 მაისს,

ნ. გვარაძის საბენეფისოთ

წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ვალ. სანებლიძისა

**ცხოვრების ტალღებში**

დრამა 4 მოქ. მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

6 მაისს, შუადღის 12 საათზე, შავი ქვის საბჭოს დარბაზში

დანიშნულია

**პირველი საჯარო კრება**

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა და გარეშე პირთა.

განსახილველია: სადღეისო საკითხი ბათომის ოლქის ომისაგან დაზარალებულ ქართველთა დახმარების შესახებ.

თავჯდომარე თავ. მელ. ფაღავა.

---

დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО“**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი“**

ორშაბათიდან, 4 მაისიდან, მხოლოდ სამ დღეს ახალი ხელოვნური პროგრამა

რუსეთის სამხედრო ქრონიკა

გამოცემა სკობელევის კომიტეტისა, რომელიც მის იმპერატორებითი უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ იმყოფება.. მონოპოლია თეატრ „რადიუმისა.“

**ვ ა რ შ ა ვ ა**

სენსაცია „ნორდისკ“

**ბ ო შ ა ქ ა ლ ი ს შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა.**

ძლიერი თანამედროვე დრამა 4 ნაწილად.

მონაწილეობენ კოპენჰაგენის სამეფო თეატრის არტისტები. ბევრი რამ უცნაურობა და საკვირველი სანახაობაა: ცოცხალ ადამიანს დანებს ესვრიან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ა ნ ო ნ ს ი ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სენსაციური ფარსი. გართობანი მისის ალმატებულებისა სამ მოქმედებათ.

---

**ქუთაისის ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა**

აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს **7 მაისს** საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

**წლიური კრება**

ამ საზოგადოების წევრთა. განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული წლის ანგარიშისა.
2) „ „ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვისა.
3) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და 2 კანდიდატისა ამ უკანასკნელთათვის.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყოვლანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ.

---

**ს/ს გოკიელოვის—შ-ბი**

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის

**ხ. ხრისტოდულიდის**

გასული წლების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის შ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

**თესლის გაყიდვა გძელდება.**

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**კაბინეთი** მასსაჟის და სამკურნალო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი ორთქლის ვანა, რომელიც სჭობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, დორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

დ. ყვირილაში.

**სტუდენტი**

**ვარლამ ფერაძე**

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან ვამზადებ მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

მისამართი: ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—5—187

---

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 4 მაისი. სამხედრო უწყების ცნობა. 1 მაისს მტერმა იერიში მოიტანა დომანევიცზე. იერიში ადვილათ მოვიგერიეთ. გერმანელები ცდილობდენ პილიცაზე გადასვლას როჟკოვა-ვოლიას რაიონში, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა მტერი გაფანტა. გალიციაში, სანის რაიონში, ბრძოლა მინელდა, მხოლოდ 1 მაისიდან მტერი შეეცადა ზოგიერთ ადგილას იერიშის მოტანას. ზოგგან მტერს დიდი ძალებით მოქონდა იერიში. ჩვენ არა თუ ვიგერიებდით მტრის იერიშებს, მტერი უკუვაგდეთ. მტერმა დიდი ზარალი ნახა. მეზოლაბორჩის გზით მტერი იერიშის გზას დაადგა. არტილერიის ცეცხლის დახმარებით მტერი მოვიდა ჩვენ მავთულებიან სიმაგრეებამდე. ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ერთმა ჩვენმა პოლკმა კონტრ-იერიში მიიტანა და მტერი აიძულა უკან დაეხია. ჩვენ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. 30 აპრილს ჩვენმა ჯარმა

დაიკავა მტრის პოზიცია კრჟავოტულიდან 320 მეტ სიმაღლემდის კოროლუვკასთან. დილის 6 საათზე ჩვენ დავიკავეთ სიმაღლე 349. შემდეგ ჩვენ დავიკავეთ სიმაღლე 371. მტერმა უკან დაიხია. ჩვენ დავიკავეთ სოფლები პრჟიბილოვი და პუჟინკი. ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 56 აფიცერი, 4387 ჯარისკაცი, ოთხი ზარბაზანი, ექვსი ტყვიისმტყორცნელი და ორი ყუმბარის მტყორცნელი. 30 აპრილს ჩვენ დავიკავეთ სოფელი ჟუკოვა და ჟუკოვინი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 12 აფიცერი და 1700 ჯარისკაცი, სამი ტყვიისმტყორცნელი. ჩვენ დავიკავეთ ქ. სნიატინი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 9 აფიცერი და 300 ჯარისკაცი. 1 მაისს ჩვენმა ჯარმა დაიკავა ნადვორნაია. მტერი უწესრიგოთ სამხრეთისკენ უკან იხევს.

**ბრძოლა შავლის რაიონში.**

**პეტროგრადი.** მთავარ სარდლის შტაბისაგან. 2 და 3 მაისს შავლის რაიონში ბრძოლები ჩვენთვის სახეიროთ სწარმოებდა. ჩვენი ჯარი დუბისაზე გადავიდა და მტერზე იერიში მიიტანა. წამოვიღეთ 8 ზარბაზანი და რამდენიმე ასეული ტყვე წამოვიყვანეთ. პილიცასა და ვისლის სათავეს შუა მტერი ჩვენი უკან დახევას დროს თან მოგვყვებოდა. გელნევთან, რუსპროლდთან და სუხოლნევთან ჩვენ უეცარი იერიშით მტრის მოწინავე რაზმს დიდი ზარალი მივაყენეთ.

ვირჟებნიკას და ოპატოვის რაიონში ჩვენ მტერი გავდევნეთ ათი ვერსით, სანზე ძლიერი არტილერიის ბრძოლაა ულოკის შესართავიდან პერემიშლამდი. სტრიის გზით მტერს დიდის ზარალით უშედეგოთ მოქონდა იერიში. პრუტზე დელატინე და კოლომიიდან მტერს იერიშები მოქონდა, მაგრამ ჩვენ ვიგერიებდით. ჩვენ ვიხელთეთ 4 მძიმე ჰაუბიცი და ჩვენი მოწინავე ძალები პრუტზე გადავიყვანეთ.

**გენ. კორნილოვის დატყვევება.**

**პეტროგრადი.** 4 აპ. უკანასკნელი ცნობა გენ. კორნილოვის შესახებ ეხება 24 აპრილს. გენ. კორნილოვი ხელში დაჭრილი თავის ჯარს წინ მიუძღოდა, რომ გაერღვია მტრის ხაზი და ჩვენებს შემოერთებოდა. შემდეგ კორნილოვი თავის ... დახევას ცდილობდა. ამ დროს მტერი ისევ გარს შამოეხვია. ავსტრიისა და გერმანიის აფიცრის ცნობით გენ. კორნილოვი რამდენიმე გადარჩენილი კაცით 28 აპ. მტერს ტყვეთ ჩაუვარდა, ე. ი. ოთხი დღის შემდეგ, რაც მან ყოველივე ერთობა დაკარგა თავის არმიასთან.

**პეტროგრადი.** 4 აპ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან, 2 მაისს ზღვის პირის გზით ჩვეულებრივი სროლაა. დილმანიდან ოსმალონი გასდევნეს სამხრეთისკენ და სამხრეთ დასავლეთისკენ. ჩვენმა ჯარმა დაიკავა ხანესურის ულელტეხილი. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 2 მაისი. არასის ჩრდილოეთით ცვლილება არ მომხდარა. ჩვენ წინ წავიწიეთ 500 მეტრით სუშეს შაქრის ქარხნისკენ. აქ გაცხარებული არტილერიის ბრძოლაა. იპრის ჩრდილოეთით ჩვენ მტერი დავამარცხეთ. ჩვენმა ჯარმა დაიკავა რამდენიმე სანგარი ხეტზაასის წინ, სოფ. სტეენსტრეტის ერთი ნაწილი აიღეს და აგრეთვე არხის ხიდი დაიკავეს. ჩვენ ვიხელთეთ სამი ტყვიის მტყორცნელი და 50 ტყვე. არასის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ჩვენ წინ წავიწიეთ ნოტრდამდელორეტის სამხრეთ-დასავლეთით და მივაღწიეთ სუშეს შაქრის ქარხანამდე. ჩვენ მოვიგერიეთ იერიში ნოტრდამდელორეტის ფერდოებზე. ნევილ-სენვაასტთან ჩვენს წინ მივიწევთ. ავიღეთ ამ ქალაქის ჩრდილო ნაწილი. ლეპრეტრის ტყის ველთან პონტამუსონის მახლობლათ ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 50, მათ შორის ერთი აფიცერი. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 3 მაისი. უკანასკნელ ღამეს მტერმა სამჯერ მოიტანა იერიში სტეენსტრეტის წინააღმდეგ, იერიშები მოვიგერიეთ. გუშინ ჩვენ ვიხელთეთ 6 ტყვიის მტყორცნელი და ერთი ყუმბარის მტყორცნელი. ლაბასეს ჩრდილოეთით, ინგლისელებმა მტერს წაართვეს რამდენიმე სანგარი რიშბურისა და გენირიეს შუა. მთელი ღამე გაცხარებული. ბრძოლაა არასის ჩრდილოეთით აგრეთვე ნოტრდამდელორეტის ფერდობებზე ბრძოლის შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ. ნევილში მტერი შეეცადა სახლების უკან დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. ანგრის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა კავალერიამ მტერზე იერიში მიიტანა სუშეს გზით. შოისეს ჩრდილოეთით ჩვენ დავიკავეთ გერმანელთა სანგარი ერთი კილომეტრის სივრცით. შოსეს სამხრეთით ჩვენ ავიღეთ გამაგრებული ადგილი და მტრის სანგრების მეორე ხაზი. აქ დავითვალეთ 400 მოკლული. სამხრეთით ჩვენ გავდევნეთ მტერი მისი სანგრებიდან. ნოტრდამდელორეტის ფერდობებზე ნევილში ჩვენ კიდევ დავიკავეთ რამდენიმე სახლი. ჩვენმა არტილერიამ მტერს დიდი ზარალი მიაყენა. კვირიდგან დღემდის ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 აფიცერი, წამოვიღეთ 20 ზარბაზანი, 100 ტყვიის მტყორცნელი და ყუმბარის მტყორცნელი. აიის ტყეში მტერმა იერიში მოიტანა და ცოტა ხნით ჩვენი სანგრების პირველი ხაზი დაიკავა. ჩვენი კონტრიერიშის საშვალებით ჩვენ მტერი გავდევნეთ და 100 ტყვე წამოვიყვანეთ.

**იტალიის ახალი სამინისტრო.**

**რომი.** 2 მაისი. გაზეთების ცნობით მეფემ პალატის თავჯდომარე მარკორას მიანდო ახალი სამინისტროს შედგენა. მარკორამ მოსაფიქრებლათ დრო მოითხოვა. შემდეგ მარკორა ეთათბირა სალანდრასა და ჯიოლიტის და შემდეგ მოხსენება წარუდგინა მეფეს.

**რომი.** 3 მაისი. მეფემ მიიღო დეპუტატი როზელლი. ჯიორნალედიტალიის ცნობით კაბინეტის შედგენას ისევ სალანდრას მიანდობენ.

**რომი.** 3 მაისი. მეფემ არ შეიწყნარა სალანდრას თხოვნა გადადგომის შესახებ. მთელი კაბინეტი რჩება.

**რომი.** ოფიციალური ცნობის შემდეგ, რომ სალანდრას კაბინეტი ისევ დარჩა, მრავალ ქალაქებში მანიფესტაციები მოხდა. ბიულოვის ბინას ჯარი იცავს.

**არეულობა ლისაბონში.**

**ლისაბონი.** 3 მაისი. რევოლიუციონერებმა ქალაქი ჩაიგდეს ხელში. მიმოსვლა და ტელეგრაფის მოქმედება შეწყდა. ახალმა მთავრობამ მალე აღადგინა წესრიგი. შესდგა ახალი დემოკრატიული სამინისტრო.

**გერმანის წყალქვეშა ნავები ხმელთა შუა ზღვაში.**

**ათინა.** 3 მაისი. ინგლისის ელჩმა ცნობა მიიღო დარდანელში მოქმედ ინგლისის ფლოტის უფროსისაგან, რომ ხმელთა შუა ზღვაში გერმანელთა წყალქვეშა ნავები გაჩნდენ. გაზეთების ცნობით, წყალქვეშა ნავები შეუნიშნავთ დოროს კონცხთან, ევბეის კუნძულთან.

**ცეპელინი ინგლისში.**

**ლონდონი.** 4 მაისი. დილის ორ საათზე რამსტეტში ცეპელინმა 40 ყუმბარა ჩამოყარა. სამი კაცი დაიჭრა.

**შვეციის გემის შეპყრობა.**

**სტოკჰოლმი.** 4 მაისი. გერმანელებმა შეიპყრეს და შტეტინში გაგზავნეს შვეციის გემი „ვიკანდა“, რომელიც ფინლიანდიაში მიდიოდა ყავით დატვირთული.

**ბრძოლა რიმბურგთან.**

**ლონდონი.** 4 მაისი. ფრენჩის ცნობა. პირველმა არმიამ რიმბურგსა და გესტბიურგს შუა იერიში მიიტანა. ჩვენ გავარღვიეთ მტრის ფრონტი ორი მილის მანძილზე. იერიშები დაიწყო ღამით რიმბურგისა და ლავოს სამხრეთით. აქ ჩვენმა ჯარმა ზედიზედ დაიჭირა სანგართა ორი ხაზი ფრონტის 18 იარდის მანძილზე. სამხრეთით მოხდა მეორე იერიში. ამ იერიშის საშუალებით ჩვენ დავიკავეთ 1200 იარდის მანძილზე სანგრები და ჩვენი წარმატება კიდევ 600 იარდით გავაძლიერეთ სამხრეთით. ჩვენ გადავედით ფესტბიურის გზაზე და ერთი მილით წინ წავიწიეთ.

**კოლონიებში.**

**პარიზი.** 4 მაისი. საფრანგეთის დასავლეთ აფრიკის ჯარის კოლონამ 28 აპ. ბრწყინვალე ბრძოლის შემდეგ დაიკავა კამერუნში ესკა. ფრანგების დანაკლისი მცირეა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**რუმინია.**

რუმინიის დიპლომატიურ წრეებში გაცხარებული კამათია ოფიციოზ „ინდეპენდანს რუმენ“-ის წერილის გამო, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „დიდსა და პატარა ერებს ამჟამათ თავისი საკუთარი იდეალები და ინტერესები აქვს. ყველა ერი თავისი ინტერესების მიხედვით მოქმედებს თავის დროშის ქვეშ და ევროპის არცერთი ერი არ დაეთანხმა სხვის ხელში სათამაშო ბურთად გახდეს და დაანთხიოს სისხლი მისთვის არა სასარგებლო საქმისთვისაო.

**საბერძნეთი.**

სამთა შეთანხმება საბერძნეთთან მოლაპარაკებას კვლავ განაგრძობს. დაბრკოლება შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ იმ გარემოებამ, თუ სამთა შეთანხმება სრულ გარანტიას ვერ მისცემს საბერძნეთის მთავრობას, რომ მისი ტერიტორია, როგორც ომიანობის დროს, ისე მშვიდობიან მოლაპარაკების დროს მტრის თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იყოს. ეს საკითხი ფრიად აღელვებს ხელმძღვანელ წრეებს და საზოგადოებრივ აზრსაც, შიშობენ, რომ საზოგადოებისაგან არ მოითხოვონ რამე ტერიტორიალური დათმობა ბულგარეთის სასარგებლოთ. ამ კამბინაციას საბერძნეთი არაფრის გულისთვის არ დაეთანხმება. ხოლო, თუ პირველი წინადადება შესრულებულ იქნა, საბერძნეთი არ დააყოვნებს სამთა შეთანხმების სასარგებლოთ გამოსვლას.

**ს ე რ ბ ი ა.**

ნიშიდან იტყობინებიან, რომ აქ მოხდა დიდი კრება, რომელსაც დაესწრენ ხორვატები, სლოვაკები და სხვა სლავიანები. კრებაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: მშვიდობიანობის დასაცავათ ბალკანეთში საჭიროა სერბიას შეუერთდეს დალმაცია და კროაციაო.

**ო ს მ ა ლ ე თ ი.**

ოდესიდან ცნობაა, რომ ამ უკანასკნელ დროს კონსტანტინოპოლში იტალიელების წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან იზრდება. მათ მოქმედებას საიდუმლოთ თვალ-ყურს ადევნებენ. იტალიელმა ვაჭრებმა თავისი სავაჭროები დროებით დაკეტეს. იტალიელებსა და ოსმალებს შუა მომხდარ შეტაკების შემდეგ პოლიციის პრეფექტმა ბრძანება გასცა, რათა ყოველგვარი შეტაკება იტალიელებთან მყისვე მოსპობილ იქნას.

---

ბერლინელ კორესპონდენტს გაზეთ „პოლიტიკენში“ მოყავს გერმანელ აფიცრის ნათქვამი, რომელიც შეეხება იტალიელებისადმი გერმანელების სიძულვარეს.

— როდესაც ჩვენ გადავლახავთ იტალიის საზღვარს, უთქვამს ამ აფიცერს, დანგრეული ქალაქები და სოფლები გვიჩვენებენ რომისკენ მიმავალ გზას. არავის არ დავინდობთ, არც ქალებსა და არც ბავშვებს. დეე ყველამ გაიგოს იტალიის მთავრობის მოღალატური საქციელიო. ყველაფერს, რაც კი გზაზე შეგვხვდება, ცეცხლით და მახვილით გავანადგურებთ. მოხდება ისეთი სისხლის ღვრა, რომ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვდეს. ჩვენს ახლანდელ მტრებს პატიოსანი იარაღით ვებრძვით, ხოლო იტალიელებთან კი შეუბრალებელი და უმაგალითო ბრძოლა გვექნება, როგორც გამცემელ იუდასთანაო.

## გერმანიის დღევანდელი შინაური პოლიტიკა.

დღევანდელი ომის სწარმოებლათ მეომარ სახელმწიფოებს უთვალავი ხარჯები და ... ვლის მილიარდები სჭირდებათ. ვერც ერთი მათგანი საკუთარი ფინანსებით საქმეს ვერ გაუძლვება; ამიტომ იგი იძულებულია ახალ გადასახადებს და უცხოეთის სესხს მიმართოს (ან შინაურს) და, ამნაირათ სახელმწიფოს მომავალი შემოსავალი დღევანდელ ომის წასამართავათ დახარჯოს.

აი, ასეთ ზომებს დღეს „ომის ფინანსების მოწესრიგებას“ ეძახიან.

როგორც სხვა მხრივ, ისე აქაც დიდ განსხვავებას იჩენს გერმანია. სხვაგან რომ უცხოეთის სესხს და შინაურ გადასახადებს აწყებიან, გერმანიაში ამ დროს არც ერთი ახალი გადასახადი არ შემოუღიათ და სესხიც სულ შინაურია.

ამით მან ომიანობით ისედაც შევიწროვებულ ხალხს გადასახადებით ახალი შევიწროება თავიდან აშორა და უცხოეთის სესხის უარყოფით კიდევ იგი მომავალ ზედმეტ გადასახადებისგანაც იხსნა.

მართალია მომავალში ხალხმა უნდა გადაიხადოს იმ შინაური სესხის სარგებელი, რომელსაც ახლა მთავრობა ომის საჭიროებაზე ისე უხვათ ხარჯავს, მაგრამ თავისებური ფინანსიური პოლიტიკით დღეს-დღეობით ხომ მაინც იშორებს იგი თავიდან ხალხის უკმაყოფილებას.

ასეთივე ჭახრაკულ პოლიტიკას ადგია გერმანია დღეს ერთი მხრით მუშების მიმართ, ხოლო მეორე მხრით აგრარიებისა.

აქ მისი პოლიტიკა ჩვენებურათ, მდაბიურათ რომ ვსთქვათ შემდეგშია: „არც მწვადი დასწვა, არც შამფური“.

საქმე, მაგალითად, კარტოფილის გაძვირებას შეეხება; ის ამაში მუშებსაც ეხმარება: საზრდოს უიაფებს და იმავე დროს მემამულეებსაც არ ღალატობს: კარტოფილს მათგან „სამართლიან“ ფასებში ყიდულობს.

კარტოფილი გერმანელისთვის საზოგადოთ მთავარი საზრდოა, ღარიბი ხალხი ხომ თითქმის მარტო კარტოფილით იკვებება.

გერმანიაში მშვიდობიანობის დროს საშუალოთ თვითეულ სულზე იხარჯებოდა: 500 გრამმი (გირვანქაზე ცოტა მეტია) კარტოფილი, 267 გრამმი ფქვილი და 145 გრამმი ხორცი. ღარიბი ხალხი მეტ ფქვილს ხმარობდა და ნაკლებ ხორცს, ვიდრე აქ არის ნაჩვენები. ახლა კი ომიანობის დროს კანონით ფქვილის ხმარება საზოგადოთ ყველასთვის განსაზღვრულია 200 გრამმით.

როგორც ხედავთ გერმანელი კარტოფილს თითქმის ორი იმდენს ხმარობს, რამდენსაც ფქვილს; (267 გრ. ფქვილი და 500 გრ. კარტოფილი.) მით უფრო ახლა,

---

## ე რ ა ტ ა.

(მოთხრობა *)

VI.

მეორე დღეს, მოახლოვდა თუ არა დრო, ჩემდა უნებურად, რაღაც ძალამ დანიშნულ ადგილისაკენ გამწია...

აღარაფერს ვხედავდი ჩემს გარშემო, აღარც ზღვა მაინტერესებდა; ანგარიშმიუცემლათ მივისწრაფოდი მიზნისაკენ.

სწორედ იმ ადგილს, იმავე ქვაზე იჯდა და თმას ივარცხნიდა. დამინახა თუ არა, წამოდგა, თმები ზურგზე გადაიყარა და ჩემკენ გამოეშურა.

— თქვენა ხართ? განა დღეს უნდა გვენახა ერთმანეთი? მითხრა და ხელი გამომიწოდა.

— უკვე „თქვენობით“ მელაპარაკებით? ნაწყენმა დავეკითხე.

— ეს პირველი შეხვედრისათვის... მერმე თავისთავათ გადავალთ „შენ“-ზე... გულუბრყვილოთ მიპასუხა და დასაჯდომისაკენ წამიყვანა.

— ვერ მოვითმინე, გავუტყდი მე. თქვენი ნახვის სურვილმა ამიტანა. გეწყინათ?

— არა—პირიქით!

დიდხანს ვისხედით და ჩუმათ ერთმანეთს მივჩერებოდით.

— თქვენ რა გქვიათ? დავარღვიე ბოლოს სიჩუმე.

— ერატა...

— ერატა?

— დიახ, ერატა! რათ გაგიკვირდათ? თუმცა არც მე ვიცი, რათ დამარქვეს ეს სახელი! თქვენ მხატვარი ხართ?

— რითი შემატყვე?

— სახეზე შევატყვე... საზოგადოთ მხატვრებს განსაკუთრებული სახე გაქვთ. რასა ხატავთ?

— ადამიანის სულსა. გავეხუმრე მე.

— მერე როგორ გინდათ დახატოთ?

— მახინჯი, ბოროტი, უგვანო!..

— მერე რათა? გაბუტული მკითხა. ვის სულსა ხატავთ?

— სულ ერთია, ვინც უნდა იყოს!.. ყველა ადამიანის სული აგეთია.

— რათა გგონიათ ეგრე?! ადამიანის სული თავისთავად სპეტაკია და სათნო.

მისი ბავშური ტიტინი და გულუბრყვილობა მართობდა.

— პირიქით, ადამიანის სული დაბადებითვე მახინჯი და ბოროტია,—გავჯიუტდი მეც.

— რა ბოროტი ყოფილხართ! სახეზე კი არ გეტყობათ... მე უფრო კეთილი მეგონეთ! ნაწყენი, ცოტათი მიბრუნდა.

აღმიტაცა მისმა სიწმინდემ, სათნოებამ. მართლაც თვალით ვჭვრეტდი ცხოვრებისაგან დაუმახინჯებელს, განხორციელებულს, ადამიანის სპეტაკ სულს.

— არა, გეხუმრეთ! დავამშვიდე მე. განა შეიძლება ადამიანის სულის ტილოზე გადატანა?! კიდევ მსურდა სალაპარაკოთ გამომეწვია და გამეგონა მისი წრფელი ტიტინი.

— რატომ არა! მხატვარს ყველაფერი შეუძლია. თქვენ ხომ არაჩვეულებრივი ადამიანები ხართ!.. ოჰ, ნეტავი მეც მხატვარი ვიყო! გულწრფელად ამოიოხრა.

— მერე რას იზამდი?

— მეც ადამიანის სულს დავხატავდი, მაგრამ სპეტაკს, კეთილს, სათნოს!..

მართლაც იმ წუთში, მის გვერდით ჩემს თავს არა ჩვეულებრივ ადამიანად ვგრძნობდი, მოვწყდი ამ სოფელს და სადღაც ოცნების სამთავროში დავფრინავდი.

ერთმანეთთან ყოფნა, ბაასი აუცილებელ საჭიროებათ გადაგვექცა.

გავიდა ორი კვირა.

მუდამ დღე მოვდიოდით ხოლმე დანიშნულ ადგილს და ვერთობოდით.

ხან სერიოზულათ ვლაპარაკობდით ხოლმე, ხან ყველაფერზე და არაფერზე .. ბავშებივით დავრბოდით, ვცელქობდით, ერთმანეთს ზღაპრებს ვუამბობდით.

ერთ დღეს, როცა ჩვეულებრივათ ვისხედით ზღვის პირად და გავყურებდით მის სივრცეს, ერატამ მზრუნველობით მითხრა:

— თქვენს თვალებში უზომო სევდა გამოიხატება... უბედური ხართ?

მისმა სიწრფელემ ჩემში აღსარების სურვილი გამოიწვია.

გულმა მიკარნახა, სულმა მომთხოვა მისთვის მეამბნა ჩემი წარსული თავგადასავალი, გამეზიარებინა მისთვის ჩემი სულის კვეთება და მეც დავიწყე ამბავი...

ვუამბობდი ყველაფერს გულწრფელად, გადაუჭარბებლათ; სრულს სიმართლეს ჩემის ცხოვრებისას; ზოგჯერ, ჩემდა უნებურათ, ცრემლებიც მომაწვებოდა ყელში...

ისე გამიტაცა ლაპარაკმა, დავასრულე ამბავი,—ერთხელაც მის სახეზე არ შემიხედნია.

დავჩუმდი.

ისიც სდუმდა.

ბოლოს შევხედე და რა დავინახე!

მერწმუნე, მეგობარო, არ ვაჭარბებ!

ეს არ იყო ხორციელი ადამიანის სახე, გამოხედვა... არა! ეს იყო რაღაც ზეციური, ოცნების ნაყოფი სიწმინდე, სათნოება და მშვენიერება. იგი ზღვის სივრცეს გასცქეროდა; თვალები ცრემლით ავსებოდა, ბაგენი ოდნავ გაეპო, თავი ცოტათი გვერდზე გადაეხარა და ნერვიულათ მოკუმშული ხელები მუხლებ შუა ჩაექდო.

თვალი მომტაცა მისმა ნახვამ.

ვიგრძენ სანეტარო გულის თრთოლვა.

თვალთაგან ბურუსი გაიფანტა და გონებაში, ასე მეგონა, თვალის მომჭრელ მზის სხივმა შემომაშუქა.

დიდხანს შევყურებდი აღტაცებული. ბოლოს როგორც გიჟმა წამოვიძახე:

— ერატა!

ერატა შეკრთა, ჩემსკენ მობრუნდა.

— რა იყო? შეშინებული დამეკითხა.

— ერატა, ვიპოვნე! უნდა შენი სურათი დავხატო!..

იგი გაკვირვებული მომჩერებოდა.

შენ გახსოვს, მეგობარო, ხშირად მითქვამს, რომ ერთი იდეა მოსვენებას არ მაძლევდა: მინდოდა დამეხატა სიყვარულისა და პოეზიის ღმერთი. ეს აზრი ჩამექდო ტვინში; ღამე არ მაძინებდა, დღე მოუსვენრათ ვიყავ... დავიწყებდი თუ არა რისამე ხატვას,—უსათუოთ ეს იდეა ამომეფარებოდა წინ. რამდენჯერ ვცადე დამეხატა ზეპირათ, მაგრამ არა გამოვიდარა. აკლდა სიცოცხლე, შემოქმედება, ცეცხლი... იგი რაღაც ცარიელი გამოდიოდა და ეს სიცარიელე მკლავდა... ვგრძნობდი,—რაც დრო მიდიოდა, ნელნელა კვდებოდა ჩემში ეს იდეა; გავქრებოდი ისე, რომ ვერაფერ დიდს ვერ შევქმნიდი და სწორედ ეს ფიქრი უფრო მაბრაზებდა, გულს მიკლავდა... ვგრძნობდი ჩემში ძალას, ნიჭს, სურვილს და ვერაფერი-კი ვერ გამეკეთებინა... და ახლა, როცა ვიპოვნე სინამდვილეთ ქმნილი ჩემი ოცნება,—სიხარულისაგან კინაღამ გავგჟდი.

ერატას ავუხსენი, რაშიაც იყო საქმე და დავითანხმე კიდეც. მეორე დღეს მოვიტანე ჩემი ხელსაწყო და იმავ ადგილს დავიწყე ხატვა. საქმე საკვირველის სისწრაფით მიდიოდა წინ. ერატა თითქოს ცოცხლივ გადადიოდა ტილოზე.

მეც სრულიად გარდავიქმენი. ღრუბელმა გადაიარა, ცა მოიწმინდა, აბობოქრებული ბუნება დამშვიდდა...

გინახავს ანკარა მდინარე ნიაღვარისაგან ამღვრეული, აქ ფებული, შხუილ-ღმუილით მირბის, მიჰქრის უგზო-უკვლოთ და გზათ გადაღობილს ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს.. ხოლო როცა გადაიღარებს, თანდათან წყდება, მშვიდდება და თავის კალაპოტში ჩადგება ხოლმე... სწორედ ისე ვიყავ მეც... ვმუშაობდი ისეთის ხალისით, ისეთის გატაცებით, რომ მზა ვიყავ დღე და ღამ მოუსვენრათ მეხატა... სახლშიაც ველარ ვდგებოდი. ჩემი გონება, სული, გული იქ იყო, იმ ადგილს. სახლში მოვდიოდი მხოლოდ ღამე. ან რა გამაჩერებდა?! ერატა, მისი სურათი, ხმელეთის სილამაზე და ზღვის სიმშვენიერე—ხან მშვიდის და ხან მღელვარის! ყველაფერი ეს სახლს გარედ იყო!

ჩემმა გამუდმებულმა შინ არ ყოფნამ ელენეს ეჭვი დაუბადა.

---

მახვილია ქალის გრძნობა. ჯერ ოცნებაში შექმნის ეჭვიანობის მიზეზს და სინამდვილეს ხომ ალღოთი იგრძნობს და გაიგებს... მეც დროზე შევუტყვე ელენეს ეჭვიანობა. იგი როგორღაც დაღონდა. თვალები ბოროტების ცეცხლით აენთო, ტუჩები საიდუმლოებით მოეკუმშა. ყველაფერს ჩემს ნათქვამს, თუ ჩადენილს

*) იხ. „სამშობლო“ № 72.

როცა ფქვილის ხმარება კანონით განისაზღვრა და ნორმაზე ნაკლები არის დანიშნული.

ამასთან კარტოფილს, როგორც ვიცით. გერმანიაში ღორების გამოსაკვებავათაც ხმარობენ. ამნაირათ კარტოფილის ხმარების ნიადაგზე ხალხის ინტერესი აშკარათ დაუპირდაპირდა მემამულეების ინტერესებს. მემამულეები შეეცადნენ ესარგებლათ, რომ ღორებიც მაღალ ფასებში გაესაღებიათ და კარტოფილიც. მაგალითათ ერთმა ცნობილმა მემამულემ ჯერ ისევ 1914 წლის შემოდგომაზე აშკარათ განაცხადა, „ჩვენ, მემამულეებმა ამ წელიწადში, თუ ჩვენი ინტერესები გვესმის, უნდა ვეცადოთ, რომ კარტოფილის ფასი 10 მარკამდე ავიყვანოთო“ (5 მან.) და მართლაც პრინც ოლდენბურგელის წყალობით მისმა მეგობრებმა მთავრობაზე შესაფერი გავლენა მოახდინეს და ერთხანს სასურველ შედეგს მიაღწიეს. მაგრამ მეორე მხრით, ხალხის ინტერესების დამცველათ მუშები დგანან და დღევანდელ პირობებში მათი ამხედრება გერმანიის მთავრობისთვის მეტათ სახიფათოა, ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მუშების უკმაყოფილება არ გაამწვავოს და ხალხის ტკივილები როგორმე დროებით მაინც მიაყუჩოს. კარტოფილი წინათ თუ კაპეიკ-ნახევრათ იყიდებოდა გირვანქა, ახლა ოთხი კაპეიკი გახდა; ამის ატანა-კი მუშის ბიუჯეტს არ შეუძლია. ამიტომაც მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო და დღეს გირვანქა კარტოფილს მუშა 2 კაპიკათ ყიდულობს.

როგორ მოხდა ეს?

რეიხსტაგმა მარტში მთავრობას დააკისრა მიიღოს შესაფერი ზომები, რომ მოქალაქენი კარტოფილით უზრუნველ იყვნენ და ეს მოახდინოს მან მემამულეებისგან კარტოფილის იძულებითი ჩამორთმევით („კარგ ფასათ“, რა თქმა უნდა) და ხელმოკლე მცხოვრებლებთ თავის საქალაქო თვითმართველობების საშუალებით ხელმისაწვდენ ფასებში გაყიდვა მოაწყოს.

მემამულეები კი თავის მხრით მოითხოვდენ: ხელი არ შეგვიშალოთ ახლა, დრო დაგვიდგა, რომ კარტოფილის ფასი მაღლა ავწიოთ და ამით შესაფერათ ვისარგებლოთო.

ამნაირათ მთავრობა ორ ცეცხლ შუა ჩავარდა. ერთი მხრით რეიხსტაგის დადგენილებისამებრ ხალხის ინტერესები უნდა დაეცვა და მუშების მოთხოვნილებისთვის ყური ეგდო, ხოლო მეორე მხრით მემამულეების მოთხოვნაც უყურადღებოთ არ დაეტოვებია, რომ ამით იუნკრების თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება არ დაკარგოდა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფმა გერმანიის მთავრობამ შემდეგი ხერხი მოიგონა: მემამულეებისგან კარტოფილი შეიყიდოს ძვირათ, ხოლო მუშებს მერე მიყიდოს იაფათ; დანაკლისი სახელმწიფო ხაზინიდან შეავსოს და სამაღრო ხარჯათ ჩარიცხოს, რაც სესხის საშუალებით იქნება დაფარული.

მთავრობა მართლაც ასე მოიქცა: შეიყიდა რაც გერმანიაში მემამულეებს კარტოფილი ჰქონდათ შემონახული და მერე ქალაქების თვითმართველობებს გადასცა, რომ მათ ღარიბ მცხოვრებლებზე იაფათ გაყიდონ. ამასთან დააწესეს, რომ თვითმართველობამ უფასოთ ღარიბებს მიყიდოს იაფათ კარტოფილი; რაც შეეხება „შეძლებულთ“, იმათ კერძო ვაჭრებისგან უნდა იყიდონ ჩვეულებრივ აწეულ ფასებში. ამნაირათ თვითმართველობებმა ღარიბები და მუშები უნდა დააკმაყოფილონ კარტოფილის მხრით, ხოლო ვაჭრებმა კი მემამულეები (ამათგან ისინი ხომ კარტოფილს აწეულ ფასებში შეიძენენ) და თავიანთი თავიც (შეძლებულ მხმარებლებს ისინი კიდევ უფრო აწეულ ფასებში მიყიდიან). ნიხრის დაწესებაშიაც ასეთივე ზომა იხმარა მთავრობამ ხორცზე. როგორც ხედავთ ასეთი მოხერხებული სისტემით მთავრობამ თითქო მუშების დაკმაყოფილებაც შესძლო და მემამულეებისაც: „არც მწვადი დასწვა და არც შამფური“. ის შემდეგი მოსაზრებით ხელმძღვანელობს: „შეძლებული საზოგადოება ხორცზე და კარტოფილზე ფასების აწევის გამო „ბუნტს“ არ მოახდენს. ხოლო აგრარიებს კი იმით ბევრს ვასარგებლებ და ვასიამოვნებო“.

ასეთია გერმანიის დღევანდელი „კურსი“ შინაურ პოლიტიკაში.

დ—ელი.

## ებრაელის ამონაკვნესი.

პატივცემულ „სამშობლოში“ სააგენტოს დეპეშამ მოკლე ცნობა მოგვიტანა; „კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, აქ დაიწყო ებრაელების, დევნაო და ბევრს აპატიმრებენო“. ეს მოკლე ცნობა ჩვენთვის ფრიად საგულისხმოა. ომის დაწყებისათანავე ოსმალებმა დაიწყეს პალესტინაში მცხოვრებ ებრაელების შევიწროება და გამორეკა. და როგორც დეპეშიდან სჩანს თვით სტამბოლშიაც დაუწყიათ ებრაელთა დევნა-აწიოკება. ამ მოვლენას არა თუ მარტო ებრაელებმა უნდა გაუწიონ ანგარიში, არამედ კულტურის ყველა მოყვარულმა ერმა.

ყველა ერს თავისი ისტორია, ფსიხოლოგია, თავისი კულტურა და თავისი ნიჭი აქვს. თუ რომელიმე ერი ჩაიყლაპება, ეს კაცობრიობის ზარალია, რომლის კულტურასაც ველარ აინაზღაურებს კაცობრიობა.

ებრაელებს ბევრი რამ მიუცია კაცობრიობისთვის: არ ჩამოვთვლი, თითოეულ მეცნიერებს, მაიმონს, კანტს, გითოს, გეინეს, ნიჩას, სპინოზას და სხვებს, რომლებიც ამ დატანჯულმა ერმა წამოაყენა. მართალია, მენდელსონის შემდეგ ებრაელებში ასიმილაციამ თავი იჩინა და დიდი სულიერი ზარალიც მიაყენა მას, არა მარტო რელიგიურათ, არამედ ეროვნულათაც, მაგრამ ოცდა ათი წლის წინათ კიდევ გაისმა ხმა: „დაუბრუნდი ებრაელობავ შენს ერსაო“. ამ ხმამ ყველაზე წინ „ხარკოვ-მოსკოვის უნივერსიტეტში მოიპოვა ბინა, და ორასამდი სტუდენტობამ იმ დროს ახლათ შემდგარი კომიტეტის დახმარებით, მიატოვა კაკარდა, კარიერა, მშობლები და გაუდგენ პალესტინის გზას. მთელი დიდი წიგნები ვერ დაიტევს მათ ტანჯვას, წვალებას, ორიათასი წლის გაჯერანებულ ადგილზე: უწყალობა, ყვითელი ციება. მრავალი სხვერპლი ადამიანისა, მაგრამ შეუპოვარმა და თავ განწირულმა მოქმედებამ, ყველა დამაბრკოლებელი მიზეზი გადალახა გადასახლებულმა ძალებმა, შექმნეს მშვენიერი ახალშენები. ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ებრაელობა ენერგიულათ შეუდგა, თავისი ძველ სამშობლოში ეროვნულ საქმეების მოწყობას. შექმნა სამოცამდი ახალშენი, მიწის მუშები მევენახეები, და მებაღეები, გააშენა ტყეები, მოაწყო ყველა ახალშენში წყალსადენები ელექტრონული განათება, და მშვენიერი ქუჩები, ექიმები, და საავათმყოფოები, დასაწყისი სასწავლებლები და სამკითხველოები, ააყვავა ქალაქები მრეწველობითა და ვაჭრობით. დააარსა კოლონიალური ბანკი. და საკრედიტო მუშათა დახმარებისთვის, ერთი გიმნაზია იაფაში მეორე იერუსალიმში, რეალური და პოლიტეხნიკური სასწავლებელი ხაიფაში. ყველა ეს ძველ ბიბლიის ენაზე რომელიც ამ ორიათასი წლის განმავლობაში მკვდრათ ითვლებოდა, ახლა კი გაცოცხლდა და ბავშების დედა ენათ გადაიქცა. დიახ, აი ასე ააყვავეს აოხრებული ადგილი, იქ მცხოვრებმა ყარაზებმა, რომელიც ნახევარზე ტიტვლები დაიარებოდენ, გაახილეს თვალი და ადამიანურ ცხოვრებას შეუდგენ. თვით ოსმალეთის მთავრობა ხედავდა რა სარგებლობა მოელოდა მას ამ აყვავებული პროვინციიდან და შედარებით ხელსაც უწყობდა „ვისაც არ უნახავს პალესტინის ახალშენები—ამბობს პროფესორი ბიბერ მარტინი თავის წიგნში „პალესტინა“—ის ვერ იცნობს კარგათ ებრაელების ნიჭს“. „ებრაელობამ დაამტკიცა ის, რომ ტყუილია, ვითომც მარტო არშინში იყვნენ ნიჭიერები, ამბობს—ამერიკის მთავარი კონსული სტამბოლისა, ბატონი მორგონტო, ისინი საუკეთესო ტეხნიკით მუშაობენ გაჯერანებულ მიწას და სამოთხეს ამგზავსებენო, ხშირათ შეხვდებით ქალებს, რომლებსაც ევროპიის-გიმნაზიებში უსწავლიათ, დღისით ყანას მუშაობენ, ბაშლიყ გაკრულები, საღამოს კი სამკითხველოში სხედან და სხვადასხვა ენაზე ჟურნალ გაზეთებს კითხულობენ“. „გაუშვით ამოისუნთქონ თავისუფლათ ამ ტანჯულ ერმა, ამბობს დიდებული მეცნიერი ერმან შტრიკი, და ნახავთ, რომ, არა მარტო თავის ერს მოუტანენ სარგებლობას, კიდე დიდ სამსახურს გაუწევენ კაცობრიობასო“. აი ეს ოცდა ათი წლის სისხლით შეძენილი ეროვნული საძირკველი, მსხვერპლათ შეუწირავთ სამშობლო რუსეთისათვის. ალექსანდრიიდან მოსულთა ცნობით, ოსმალეთის მთავრობას კონფისკაცია უქნია მთლათ ებრაელების მოძრავ-უძრავის ქონებისათვის და ყველა ცარიელები გამოურეკია. დიდი ტრაგედიის მოწმენი არიან ამ ამბის მთქმელნი.

„რუსკია ვედომოსტის“ კორესპონდენტი ცნობილი პუბლიცისტი ბატონი ჟაბოტინსკი ამნაირათ აგვიწერს ებრაელების პალესტინიდან გამორეკა-აწიოკებას:

ებრაელების დევნა ოსმალოების მხრით იმიტომ კი არ ხდება, როგორც ებრაელების, არამედ როგორც რუსეთის ქვეშევრდომისა. ომის გამოცხადების შემდეგ, ოსმალეთის მთავრობამ ებრაელობას წინადადება მისცა მიეღოთ ოსმალოს ქვეშევრდომობაო, მაგრამ იაფაში თავმოყრილმა გავლენიანმა ელემენტებმა უარი უთხრეს ამ წინადადებაზე. ინგლისის მთავრობა და რუსეთის კონსული ალექსანდრიაში კარგათ გრძნობენ ებრაელთა თავგანწირულობას და დიდ მსხვერპლს, რომელიც ებრაელობამ შესწირა რუსეთს და ამიტომაც გამორეკილ ებრაელობას დიდ ყურადღებას აქცევენ და სიყვარულით ექცევიანო“.

მაგრამ რუსეთისა და პოლონეთის მემარჯვენეებს ებრაელები თავის თავგანწირვით ვერაფერს ვერ დაანახვებენ. მართალია, პოლონეთის მემარჯვენეები გაკვიან თავის ერის დაჩაგვრაზე, მაგრამ ამავე დროს ავიწყდებათ, რომ მათ სხვა ერები ეჯავრებათ. ვინც მათ პრესას ყურადღებას აქცევს, ნათლათ დაინახავს, რომ პოლონეთის მემარჯვენეების შოვინისტობას საზღვარი არ აქვს, თითქოს, რუსეთთან ერთად მათ მეტი სხვა ერები არ იბრძოდენ.

მათი დიდი კრიტიკოსი გიორგი ბრანდესი გადაჭრით სწერს დანიის გაზეთ „პოლიტიკენში“: „როდესაც წავიკითხავ ჩემს ნაწერებს პოლონელებზე, პირი მიწითლდებაო, თურმე თავიანთ გაჭირვებაზე კი ყვირიან ყველგან და სხვა ერები კი სძულებიათო“.

ამ ბატონებსაც აუფარებიათ ფარდა პირზე და არ უნდათ დაინახონ ის გმირობა კავკასიის შვილებისა, რომლებიც რვა დღე და ღამე წყალში იდგნენ და თავგანწირულად იბრძოდენ და რომელთაც მათ დედა ქალაქ ვარშავაში მტერი არ შემოუშვეს, კმარა, კმარა. აიხადეთ ფარდა, შეუშვით სინათლე თვალში, შეუშვით სიმართლე გულში; წვრილი ერების მომძულვარეებო. დაინახეთ, რომ რუსეთის ყველა ერი ერთი ოჯახის შვილებათ გადაქცეულან, თავი მოუყრიათ დიდებული ბაირაღის ქვეშ, რომელიც აფრიალა რუსეთ-ინგლის-საფრანგეთმა. გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ იბრძვიან და იბრძოლებენ ერთგულათ, ვიდრე ომი საცურველათ არ დასრულდება. ვიბრძოლებთ იმ იმედით, რომ დღევანდელი ომი პატარა ერებს გაათავისუფლებს დაჩაგვრისაგან და პრაქტიკულათ განხორციელდება ის, რასაც პირდებიან მოკავშირენი პატარა ერებს.

დღევანდელი ომის შედეგათ ჩვენ ველით ბელგიის აღდგენას, სერბიის გათავისუფლებას, საქართველოს აყვავებას და მრავალტანჯულ ებრაელების შველასაც.

ონის ებრაელების რავვინი

დავით ბააზოვი.

## ახალი ამბავი.

გუშინ, 5 მაისს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი დაესწრო ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეების სღვთო სჯულის გამოცდაზე.

✦ მოვაგონებთ ქუთაისის საზოგადოებას, რომ დღეს, შუადღისას 12 საათზე შავიქვის საპჯოს დარბაზში დანიშნულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა პირველი კრება. კრებას გარეშენიც დაესწრებიან.

✦ ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობების წარმომადგენელებმა სიმინდის შემოსატანათ ბ. გუბერნატორთან ვაგონების გამოსათხოვათ აირჩია თავადი პ. წულუკიძე, ქუთ. მაზრის წვრილი კრედიტის ინსპექტორი ალ. ჯაფარიძე და იოსებ ქუთათელაძე.

✦ ბ. გუბერნატორის განკარგულებით საგუბერნიო სამართველოს საქმისმწარმოებელი მაქსიმე გრიგოლაშვილი დაინიშნა ქუთ. გუბერნიის გლეხთა საკრებულოს მდივნათ.

✦ დეპუტატთა საკრებულოს სამართველო 4 მაისიდან გადიტანეს ქართული გიმნაზიის შენობაში.

✦ 4 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ვაგონების გამნაწილებელი კომისიის კრება, რომელმაც ქუთაისის ვაჭრებს მისცა 37 ვაგონი.

✦ ჯარში გაწვეულთა დამხმარე სათავად-აზნაურო კომიტეტს დღემდის სოფლებიდან გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახებისათვის დაურიგებია ათასხუთასი მანეთი.

✦ დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება მსახიობ ნიკ. გვარაძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა შ. სანებლიძისა.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო წლიური კრება დანიშნულია 15 მაისისათვის. კრება სხვათა შორის განიხილავს საკითხს, თუ რა დახმარება გაუწიოს ქუთაისის გუბერნიის დამშეულ მაზრებს.

✦ ქუთაისის წყალსადენის მიმდინარეობის გამოსარკვევათ ამ ქამათ მუშაობს

---

ექვს თვალით უცქეროდა. ვიტყოდი თუ არა რასმეს, ჩამეკითხებოდა: სად? როგორ? რათა? ვისა? ჩემზე ზრუნვაც თითქმის გაანახევრა. წინათ, მაგალითად, დილით, უპ რველეს ყოვლისა ჩემს სახელოსნოს დასწმენდდა, დაალაგებდა, ჩემს ტანსაცმელს დაასუფთავებდა, დილის საუზმეს მიმზადებდა. ახლა ისე გაივლიდა სამი დღე, სახელოსნოში არც-კი შეიხედავდა. როცა ეს, ერთხელ თუ ორჯერ შევნიშნე, ელენემ გულმავიწყობით ამიხსნა. იგი გახდა. მადა დაიკარგა, ძილი გაუფრთხა. ეს უკ ნასკნელი სენი მეც დამჩემდა და სწორედ ამის მეოხებით იყო, რომ რამდენჯერმე ასეთი ამბის მოწამე შევიქენ: ელენე ღამით ადგებოდა, მოვიდოდა ჩემს საწოლთან, დამაყურებდა და რა დარწმუნდებოდა, რომ მძინავს, დაიწყებდა ჩხრეკას. ჯიბეებიდან დაწყებული, ფეხსაცმელამდე ყველაფერს დაათვალიერებდა, და რაკი ვერაფერს იპოვიდა, ანთებული სანთლით შედიოდა სახელოსნოში და ახლა იქ იწყებდა ძებნას. იქაც ვერაფერს პოულობდა, რადგან ერატას სურათს სხვაგან ვინახავდი. ბოლოს დაწვებოდა, მაგრამ გათენებამდე მხოლოდ მისი ოხვრა-ღა ისმოდა.

დანიშნულ დროს წავიდოდი ხოლმე სამუშაოთ. გავცილდებოდი თუ არა სახლს, მალულად მოვიხედავდი,—დავინახავდი—ელენე მომსდევს.., მეც, ვითომ აქ არაფერიაო, სხვა მხარეს გადავუხვევდი, ხან მაღაზიაში შევიდოდი, ხან ნაცნობს ვისმეს დავუწყებდი ლაპარაკს, ხან რას ჩავდიოდი და რას, სანამ სრულიად არ დავარწმუნებდი ჩემს სიმართლეში.

ვერას გახდა.

ერთ დღეს საწერ მაგიდასთან ვიჯექ და ვმუშაობდი.

ელენე შემოიჭრა და გაჩერდა კარებში; მერე ისე ძლავრად მიაჯახა კარი, რომ კედლებმა ზანზარი მორთეს.

— ელენე, ხომ არ გაგიჟდი! შეშინებულმა მივაძახე.

— უკაცრავად! ცივად მიპასუხა და მაგიდასთან მეორე მხარეს დაჯდა.

ვიგრძენ ქარიშხალის მოახლოვება და საპასუხოთ მოვემზადე.

დიდხანს იჯდა ხმა ამოუღებლივ. მეც ჩუმათ განვაგრძობდი ჩემს საქმეს.

— ლადო! მორიდებით დაიწყო ელენემ.

— რა გინდა?

— როგორ უნდა მოიქცეს, ცოლი, როცა ატყობს, რომ ქმარი სხვაზე შეყვარებულია?

ასეთ რთულ კითხვას არ მოველოდი და ცოტა არ იყოს ავირიე.

— ახირებული კითხვაა... ან რათ დაგჭირდა ამის გაგება?

— ისე...

— როგორ უნდა მოიქცეს?!. თუ ქმარი უყვარს, უნდა დაჩუმდეს და მოთმინებით აიტანოს...

— ჰოო?! მეტი ვეღარაფერი სთქვა, თვალებზე ხელსახოცი აიფარა და ოთახიდან გავიდა.

შემებრალა, დავიტანჯე... დავწყევლე ჩემი უკუღმართი ბუნება, მაგრამ წუთსვე გონს მოვედი და დავგმე ჩემი უხიაკობა, ვიგრძენ სინანული, რადგან ვკმობდი ჩემს ღმერთს ჩემს ტაძარს.

—

მიდიოდა დრო და ელენეს უფროდა უფრო იპყრობდა ეჭვიანობის სენი. აღარაფერი რჩებოდა გაუჩხრეკ-გაუჩხრეკელი.

როგორღაც, თურმე თვალი მომკრა, როცა ერთხელ ერატას სურათი მოვიტანე სახლში და დავმალე.

ვსადილობდი.

ერთბაშათ ელენემ შემოხეთქა კარი და გიჟივით შემოიჭრა. სახე გაფითრებული თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ჩალურჯებული ტუჩები საშინლათ უთრთოლავდენ. ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა.

მომაჩერდა, მეც მივაჩერდი.

უცბათ გახსნა შეხვეული. დავინახე ერატას სურათი.

— შევშინდი... შემეცოდა. ვსდუმდი. არც მინდოდა სიმართლე მეთქვა და არც მეცრუვნა.

— სთქვა! ისეთის თავგანწირვითი წამოიძახა, რომ ვარჩიე მეპასუხნა.

— სურათია... „ერატა“... სიყვარულისა და პოეზიის ღმერთი..

ნამდვილსა ხატავ, თუ... ფანტაზიის ნაყოფია?

— რა თქმა უნდა... ფანტაზიის ნაყოფია...

— სტყუი! დაიგმინა ელენემ და სურათი ძირს დაანარცხა.

ავენთე. გონება დავკარგე. წამოვიჭერ, დავტაცე ელენეს მკლავში ხელი, ოთახისკენ გავისროლე და კარები მივაჯახე.

დიდხანს ვიყავ გაბოროტებული და ანგარიშ მიუცემლათ ოთახში ბოლთასა ვცემდი სანამ კარს იქით ელენეს ქვითინი არ შემომესმა.

გონს მოვედი. ცრემლებმა მომალბეს.

ცოტათი დავმშვიდდი. თვალწინ წარმომიდგა ელენესთან გავლილი ტანჯვის დღენი, მისი ჩემდამი სიყვარული, ზრუნვა, ალერსი .. მისი გულწრფელი ფიცი თავგანწირვისა და გადავწყვიტე ყველაფერი მეთქვა მისთვის, გამემხელა ვნებინა.

გავაღე კარი. ელენე იატაკზე პირქვე ჩამხობილი უნუგეშოთ სტიროდა.

ფეხზე წამოვაყენე, ხელზე ვაკოცე, და სავარძელზე დავსვი.

როცა ცოტათი გული დაიმშვიდა ასე დავიწყე:

— ელენე, ხომ ხედავ, მე განვიკურნე, მოვრჩი... მოვრჩი იმ სენისაგან, რომელიც ვერც ერთმა ექიმმა ვერ გამოარკვია.. ამაო იყო ყველა ექიმების წამლები, ამაო შეიქმნა შენი მზრუნველობა ჩემზე; მე თურმე სულ სხვა წამალი მჭირდებოდა და, აი, ვიპოვე კიდეც! ვიპოვე ის, რაც სწყუროდა ჩემს სულს, გულს, მთელს ჩემს არსებობას! ვიპოვე და განვიკურნე კიდეც... და, ხომ ხედავ, ვმუშაობ სრულიად დამშვიდებული, გატაცებული ჩემის იდეებით... შენც ხომ მუდამ იმასა ცდილობდი, ამ ყოფამდი მომეღწია. მუდამ ჩემს სიმშვიდეზე ზრუნავდი. არ გინდოდა ჩამკვდარიყო ჩემში შემოქმედების უნარი და გსურდა რაიმე დიადი შემექმნა. შენი ჩემდამი ღვაწლი, ზრუნვა, მოვლა, შენგან დაღვრილი ცრემლები, შენი გულწრფელი, მრავალჯერ განმეორებული ფიცი, რომ ჩემს სიმშვიდეს ყველაფერს შესწირავდი,—ამის თავდებია! შენ ჭკვიანი ქალი ხარ, ელენე! იცან ჩემი სული, გაიგე ჩემი რთული ბუნება... რამდენჯერ გითქვამს—არაჩვეულებრივი ადამიანი ხარო... ჰო და, რა ვქნა, თუ ასეთი ვარ?! მერწმუნე გულწრფელად ვნანობ, რომ შენი სიყვარულის სამაგიერო ვერ გიძღვნ, მაგრამ რა ვქნა,—ვერ ვუბრძანე გრძნობას. ჩემი სული სხვა, სხვას ეძებდა,—თვის ნაწილს, ჩემი არსება—თვის ნახევარს, რომ შეევსებულიყო ჩემი ნაკლი და აი, ვიპოვნე, ჩავდექ ჩემს კალაპოტში ვასრულებ შენს დიდიხნის საწადელს,—ვქმნი!.. მე მივაღწევ იმას, რაზედაც შენ ოცნებობდი... დასთმე! თუ რამე გიღირს ჩემი მისწრაფება—შეურიგდი შენს ბედს... მე სხვა მიყვარს!..

— გიყვარს? ამოიგმინა ელენემ და გაბრაზებულმა შემომხედა. მერე მე?..

— მერწმუნე, შენდამი პატივისცემა არასოდეს გულიდან არ გამშორებია... გაიგე, რომ შენ სულ სხვა ხარ, ის კიდევ სხვა..

— „მე—სხვა, ის—სხვა“!.. ვითომ ბავშში ვარ, მატყუილებ!

— გეფიცები, ელენე, ჩემს გულში შენი ადგილი შენვე გიჭირავს...

— ერთ გულში ჩემს გვერდით მეორეც?! არ შემიძლია!

სიბრაზე მერეოდა.

— ელენე, შეიძლება შენმა ჯიუტობამ ჩვენი განშორება გამოიწვიოს.

— სადაც წახვალ თან წამოგყვები!

— შენ ჰკლავ ჩემში მხატვარს!

— ყველაფერი წყალსაც წაუღია, თუ შენ არ მეყოლები!

— იცოდე საშინელს რასმეს ჩამადენინებ!..

— მომკალი! მეც ეს მინდა!.. ან მე თითონ მოგკლავ!

— ელენე!

— არ შემიძლია!!

დავრწმუნდი, მასთან ლაპარაკი შეუძლებელი იყო და გარედ გამოვედი

ვალ. შალიკაშვილი.

(შემდეგი იქნება).

ინჟენერ ქურდიანისა და ამხ. ტეხნიკი. ამ ტეხნიკს წყლის მიმდინარეობა ქ. ქუთაისიდან სოფ. მანდიკორამდის უკვე გაუმიჯნავს, ე. ი. 22 ვერსის მანძილი. ქურდიანის ტეხნიკთან ერთად მუშაობს ნაქერალას მიდამოების კარგათ მცოდნე გიორგი როინიშვილი.

✦ საფიჩხიაზე, ამაღლების ეკლესიის მახლობლათ, ქუჩები და ეზოები მეტად უსუფთაოდ არის. აგრეთვე ძლიერ უსუფთაოდ აქვთ ფურნეები. საჭიროა ქალაქის სანიტრებმა ამ ქუჩასაც ყურადღება მიაქციონ.

✦ როგორც რაჭიდან გვწერენ, აპრილის დამლევს იქ ძლიერ ცუდი ამინდი ყოფილა. ქარბუქს რამდენიმე ადამიანი უმსხვერპლია.

✦ ომში გმირულად დაღუპულ პოდპოლკოვნიკის ალ. ს. ანდრონიკაშვილის დეიდებმა: როზალია ბაჯი-ოღლიმ, ანა მესარკოვისამ, ეკატერინე ბუდაგოვსკისამ, სხოლოსტიკა შავერზოვისამ და ელისაბედ პისკორსკისამ გვირგვინების ნაცვლად რომის კათოლიკეთა სკოლას შეწირეს 12 მან. მიცვალებულის სახსოვრად.

✦ წელს რეალური სასწავლებელი დაასრულა 50 კაცმა.

აი მათი გვარები: აფრიდონიძე, აფაქიძე, ანანიშვილი, ვარძელი, ბრეგაძე, ვეფხვაძე, გეორგობიანი, გვეტაძე, განძეხაძე, გელოვანი, გაბუნია გალუსტოვი, ინასარიძე, კლდიაშვილი, კოსტავა, კეკელიძე, კუპრავა, კორინევი, კაკიტელაშვილი, ლორთქიფანიძე, მინდიაშვილი, მიმინოშვილი კალ., მიმინოშვილი კ., მორჩაძე, რიჟინაშვილი, საბაშვილი, ჭანიშვილი, საკაშვილი, სახელაშვილი, ლ. სახელაშვილი დავ. თევზაძე, თევდორაძე, ხმალაძე, ცაგარეიშვილი, ჭედია, ჭავჭანიძე, ჩიქოვანი, ჩირაძე, გერსამია დუნ., ჯიქია, კაჭარავა, მირიანოვი, კუზანოვი, სისაკიანცი, კნუნი, კრასნოვი, გრომიკო, შაფი, კუნიცინი, კუროჩკინი. ექსტერნათ სიმწიფის მოწმობა მიიღო ექვსმა კაცმა.

მთავრობის ქალთა გიმნაზიის მეშვიდე კლასი დაასრულა 21 ქალმა. აქვე მოგვყავს მათი გვარებიც:

აბდუშელიშვილი სალომე, ბუაძე ევგენია, გოლოვატაია ქსენია, ჟორჟოლიანი მარიამ, იორაიშვილი ნინო, კოსოვსკაია ევგენია, კოსტავა ვერა, კუსკოვა ლიდია, (ოქრ. მედ.) ლიუბიმოვა ვერა, ლიუბიმოვა ნადეჟდა, მიქელაძე მარიამ, მაშკევიჩი მარიამ, ნუცუბიძე ნინო, (ოქრ. მედ.) საყვარელიძე თამარ, თვალჭრელიძე თამარ, ხოშტარია ნინო (ვერცხლ. მედ.) ცულაია თამარ, ჩიხლაძე თამარ (ოქრ. მედ.), ჩლიქაძე ელისაბედ, დუმბაძე ნინო, და საყვარელიძე ნინო (გარეშე).

**თფილისი.**

— პოეტის ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლად სალამოს გამართვა საბოლოოდ გადაწყდა. სალამოს გამართავს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება, რომელიც უკვე შეუდგა შესაფერ სამზადისს. სალამო გაიმართება სახაზინო თეატრში შაბათს, 23 მაისს.

— თფ. ქალაქის სასკოლო კომისიამ დაადგინა გახსნას მომავალ სექტემბრიდან ორი რუსული, ერთი ქართული და ერთიც სომხური სკოლა ხელმწიფე იმპერატორის თფილისში ყოფნის აღსანიშნავად.

— კვირას, 3 მაისს, ჩვენის ისტორიკოსისა და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების 25 წლის თავის შესრულების გამო, დიდუბის ღვთის-მშობლის ტაძარში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო. იქ იყვნენ წარმომადგენელნი: თავად-აზნაურობისა, ქალაქის თვითმართველობისა და ქართულ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა, პრესისა და სხვა.

— კახეთის რკინის გზაზე 2 მაისს, როცა სამგზავრო-საბარგო მატარებელი ბაკურციხიდან ჩალაუბნის ულელტეხილს შეუდგა, ვიწრო მოსახვევში უცბად წააწყდა ჯორებით მომუშავე ქიზიყელ ბიჭს რომელმაც ჯორების გადარეკა ვეღარ მოასწრო და მათთან ერთად მოჰყვა ორთქლმავალის ბორბლებ ქვეშ. მატარებელი მსწრაფლ შეაჩერეს და ქვეშიდან გამოათრიეს უვნებლად გადარჩენილი ბიჭი, ერთი კუდმოწყვეტილი ჯორი და ერთიც მკვდარი თავმოწყვეტილი.

**ფოთი.**

დიდი ხანია რაც ფოთის სამკითხველომ განისვენა, სამკითხველო სწორედ ახლა იყო საჭირო. აქამდის ხალხი ნაკლებად იყო და წამკითხველთა რიცხვიც მცირე იყო. ახლა კი მკითხველი საზოგადოება საკმარისად არის, უმეტესად მოზარდი თაობა საჭიროა ქალაქის გამგეობამ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, ყოველივე საშუალება იხმაროს და საზოგადოება დააკმაყოფილოს.

✦ ქალაქში შიმშილობა. სანოვაგე გაძვირებულია. პური არ არის. ერთად ერთი იმედი არის ის, რომ ამ დღეებში ელიან გემს პირდაპირ ფოთში („კოშკინისას"), რომელმაც თავს იდვა 30000 ფუთი პურის ფქვილის და 200 ფუთი შაქრის გამოტანა.

## რაჭის ცხოვრებიდან.

დღევანდელმა დიდმა და დაუსრულებელმა ომიანობამ შესამჩნევი დაღი დაასვა აქაურობასაც, ყოველგვარი კოპწიობა და ოხუნჯობა მიყუჩებულია, დღეს ვეღარ შეხვდებით ვერც ჭაბუკს და ვერც მოხუცს მხიარული სახით მოღიმარს. ყველას მწუხარეთ ჩაუქინდრავს თავი, ყველას კისერზე ჰკიდია აუტანელი სიმძიმე. ყოველი ადამიანი დღევანდელს ომზე და მის შედეგებზე ფიქრობს, აღარსად ისმის ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ძველი და ახალი მხიარული სიმღერები, აღარ ისმის მათი ტაშისცემა და ცეკვა თამაში, ყველანი მწუხარე ცრემლის მორევში სცურავს. ბევრი სამგლოვიარო ძონძებშია გახვეული და რომ შეეკითხოთ გლოვის მიზეზების შესახებ უთუოთ პასუხი ეს იქნება: შვილი, ქმარი, ძმა ან ძმის შვილი ომში მომიკლესო, . . . .

. . . . . . . . .

ამას თავი დავანებოთ, ეს ხომ დღეს ყველასათვის სავალდებულო შეიქნა, მაგრამ ომმა სხვა მხრითაც სასტიკათ აგრძნობინა ხალხს თვისი გავლენა, ყოველი მხრით გაძნელდა ცხოვრების სახსარი; სოფლის ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არ აქვს: ისე ძვირათ ჰყიდიან ყველაფერს, რომ წარმოდგენა შეუძლებელია; გლეხებისაგან კი ყველაფერს მუქთად ყიდულობენ.

დროა, ადგილობრივმა ინტელიგენციამ ყურადღება მიაქციოს ხალხის ყოველმხრით დაქვეითებას, დროა მეტი ენერგია გამოიჩინოს მოწინავე ელემენტებმა: შეაგნებინონ ხალხს კოოპერატიული სავაჭროების მნიშვნელობა, რომ ხალხის უმრავლესობა თავისი ქონით აღარ იწოდეს.

კარგი იქნება, სოფლებშიაც მიაქცევდენ ყურადღებას, ვისაც ჯერ-არს, და დაარსდებოდეს ნიხრი გასაყიდ საქონელზე.

ქურდ-ბაცაცებმაც საკმაოთ იჩინეს თავი, ერთი უღელი ხარი სოფ. ხვანჭკარაში მოიპარეს და ორი უღელი ხარი სოფ. წესში. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ თუმცა შესაფერი ზომები მიიღო მაგრამ ქურდები ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინა.

ამ გარემოებამ გამოიწვია სოფლებში ღამის ყარაულების დაყენება, რის შემდეგაც ოთხფეხი საქონლები აღარ დაკარგულა; რომ ყარაულების შიში არა ჰქონდეთ ამ ვაჟბატონებს, ვინ იცის, რამდენი დაუკაცურებული ოჯახი დაიღუპებოდა.

აქა იქ დანერგილი ნამყენი ვაზი მოიპარეს, ერთი ვაზის ქურდი ყარაულს ღამე გზაზედაც დაუჭირავს, მაგრამ ქურდს ვაზის პატრონთან საქმე მოურთავს და ვითომც პატიოსნურათ გადარჩენილა. ნუ თუ ქურდობის მოსასპობათ მეტი ფხა არ უნდა გამოიჩინოს ადმინისტრაციამ და მცხოვრებლებმაც?!

**რაჭველი დარაჯი.**

## საჭიროა სიტყვა, საჭიროა საქმე!

„ზოგს ეტკბილება ზოგს არა,
მაგრამ რა ჩემი ბრალია."

**აკაკი.**

ვაჭრებმა ჩვენი სამართლიანი საყვედური, შაბიამანის გაძვირების შესახებ, უყურადღებოდ არ დასტოვეს: მათ მოსაყვედურეების ჯიბრზე, მგონი, თამამი იერიში მიიტანეს გაძვალტყავებულ ხალხზე და ფუთი შაბიამანი ოცდაოთხ მანეთად (და მეტადაც) გამოაცხადეს.

შაბიამნის გამყიდველ ვაჭრებზედ არა ნაკლებ სარგებლობენ ხალხის დღევანდელი არა ჩვეულებრივი მდგომარეობით ვაჭრუკან-ჩარჩები. ეს უკანასკნელები, უკეთ რომ არ შეიძლება ისე, ატყუებენ უპატრონოდ მიტოვებულ სოფელს.

სოფლელმა, აბა, რა იცის რა ხდება ქალაქებში და მით უმეტეს სახელმწიფოში. აბა, ვინ ეტყვის მას: რა საგანი კარგავს ფასს და რა ძვირდება. ამით სარგებლობენ ჩარჩები; ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ცხოვრებას, უცდიან ხელსაყრელ დროს და, როცა ეს უკანასკნელი დადგება, ჰიანჭველასავით მოედებიან ხოლმე სოფელს და თავიანთი მოქნილ-მოგრეხილი ენით ატყუებენ საწყალ ხალხს.

წელს, ახალ გამოზაფხულზე, ჩარჩებმა წინდაწინვე ალღო აიღეს ღვინის გაძვირების შესახებ. მათ არ დააყოვნეს, მოედვენ სოფლებს და ჩალის ფასად გამოაცალეს ხელიდან სიმწრით და ოფლით მონაგარი ღვინო ათას გვარ მოთხოვნილებაში ჩაფლულ სოფლელს.

დღეს, როგორც ვხედავთ, ღვინის ფასმა აიწია. მაგრამ მხოლოდ ზოგიერთებს არგუნა ბედმა აელო რიგიანი სასყიდელი წვალებით მოყვანილ ღვინოში. უმრავლესობა კი ღვინიან ქვევრებისა ჩარჩებისაგან (სრულიად იაფად) დაბევებულ დაბეჭდილი აღმოჩნდა. ჩარჩები მშვენიერად იცნობენ სოფელს; მათ კარგად იციან რა დროს რა მწიფდება, რა დროს რა იბადება და იზრდება, რა დროს რას იწევენ სოფლელები და ამისდა მიხედვით მოქმედებენ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენში მოცვის ფოთლისაგან ჩაის კეთება დაიწყეს. კარგად მოეხსენება მკითხველს, რომ მოცვის ბუჩქი უფრო მთებში და ტყიან ადგილებში იზრდება. სოფლის დედაკაცებმა (მოცვის ჩაის ქალები ამზადებენ სოფლად) ათას გვარი გაჭირვება უნდა გამოსცადოს, სანამ მოცვის ფოთოლს სახლში მიიტანდეს: ის უნდა წავიდეს რამდენიმე საათის სავალზე, უნდა იპოტინოს ფეხშიშველმა აღმართ-თავდაღმართზე, უნდა იკოტინოს ეკლებსა და ბუჩქებში, უნდა აიტანოს შიში და ხანდა-ხან შეურაცყოფაც კი, უნდა გადაარჩიოს ჩაისთვის ვარგისი ფოთოლი უვარგისისაგან, გატენოს ტომრებ-კალათები და ჰაპან-წყვეტით მოიტანოს შინ. მოტანა არ კმარა; ახლა შინაური ხელობა: თითოეული ფოთოლი ხელით უნდა მოსრისოს, მერე უნდა გააშროს, გაახმოს. გაშრობა ხომ ბედს აწყევლიებს საწყალს, თუ ვინიცობაა ცუდი ამინდი დაუდგა, იძულებული შეიქნება ცეცხლზე გაახმოს ჩაი და ეს ხომ დიდ დროსა და შრომას მოითხოვს მას. ასე და ამ გვარად, დიდის ვაი ვაგლახით ამზადებს ჩაის და მერე ვისთვის? მადა გაღვიძებულ ჩარჩებისათვის.

დაუკვირდი, მკითხველო, პარასკევ-კვირაობით თუ რა ხდება ქუთაისის განაპირა ადგილებში, ყოველ შემთხვევაში ნუ დაიზარებთ და გაიარეთ საკრებულო ტაძრის ახლოს, ყაფანთან, მიაქციე ყურადღება ჩარჩისა და სოფლელის ვაჭრობას და თქვენ დარწმუნდებით, რომ საწყალ სოფლის დედაკაცს უმუშავნია მთელი კვირაობით ჩარჩ-ურიებისთვის.

ახლა არ კითხულობთ როგორ ყიდიან ამ „ლარის ფასათ" ნაშოვნ გლეხის ნაოფლარს ეს ჩარჩები? როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე ფუთი ჩაის ფასი ოც მანეთამდის ადის თურმე. უკეთესი ჯიბის გამასქელებელი წყარო დღეს ქუთაისში, შაბიამანს გარდა, მგონია არ უნდა იყოს.

დაუკვირდი, მკითხველო ქუთაისის, ქუჩებს და თქვენ დაინახავთ თითქმის ყოველ დღე, რომ ჩაით სავსე ტომრიკებით გატენილი დროგი დროგს მისდევს, ეტლი ეტლს. რასაც ქუთაისიდან ვერ ახერხებენ გაგზავნას, სამტრედია-კოპიტნარისკენ მიარბენინებენ.

მთელი წლის განმავლობაში სოფელი მოგების დაუშრეტელი წყაროა ჩარჩებისათვის. არაფერს ვიტყვი აბრეშუმზე, ბამბაზე, შინაურ ფრინველებსა და ცხოველებზე და სხ.; რომლების გამო ჩარჩებმა დიდი ხანია რაც ნახეს და რაც ყველას მოეხსენება; არაფერს ვიტყვი ხილეულობაზეც. ვინ არ იცის დღეს, რომ ვაშლი, მსხალი, ბალი, ქლიავი, ბია, ყურძენი და სხვა—ჩარჩების საკუთრებად გამხდარა.

დიდი ხანია, რაც ვაჭრუკან ჩარჩები დათარეშობენ სოფლად და ათასგვარ გაჭირვება-მოთხოვნილებაში მყოფ სოფლელის ზურგზე „ოთურმას" გადადიან; დიდი ხანია, რაც სოფლელის ნაწვავ-ნადაგით ისინი ძღებიან და ჯიბეს ისქელებენ.

ჩემს მახლობლობაში ვუკვირდები და ჩარჩების ალაგმვის შესახებ არავის უფიქრია: არ ფიქრობს მათი ალაგმვის შესახებ ხალხი, რადგან ხალხი ისე შეეჩვია ჩარჩის თარეშს სოფლად, რომ ჩარჩი, სამწუხაროდ, თავის კეთილის მყოფლადაც კი მიაჩნია.

არ უფიქრია ვაჭრუკან ჩარჩების ალაგმვის შესახებ ადგილობრივ მთავრობას!,—ალბად მასაც ჩარჩის თარეში სოფლად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია.

არ უფიქრიათ, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, ხალხის ჩარჩების ხელიდან დახსნის შესახებ ნასწავლებს—ამ ერთი შეხედვით საზოგადოების საუკეთესო ნაწილს. ნასწავლების უმრავლესობას სოფელი დავიწყებია; ზოგიერთი ნასწავლი სტუმრადაც ძვირად მიდის სოფელში, იმ სოფელში, სადაც შობილა და გაზდილა, რომელ სოფელსაც ის გამოუზდია!

განსაკუთრებითი საყვედურის ღირსი არიან სოფლის მღვდელი და მასწავლებელი.

გარდა წირვა-ლოცვისა სოფლის მღვდელს და სკოლაში მეცადინობისა სოფლის მასწავლებელს, სხვაც ბევრი რამე მოეთხოვება; მღვდელი და მასწავლებელი ხომ მუდამ სოფელში ცხოვრობენ, სოფლით საზრდოობენ, ისინი ხომ მუდმივი წევრები არიან სოფლელებისა. მაშასადამე მათი, ვალდებულებაა კვალ-და-კვალ მისდიონ სოფლის ცხოვრებას: მათი ზნეობრივი მოვალეობაა დაიცვან სოფლის ინტერესები; მათ უნდა იკისრონ ყარაულის როლი სოფლად; მღვდელსა და მასწავლებელს ყოველთვის შეუძლია, თუ, რასაკვირველია, მოინდომებენ გაიგონ და აცნონ ხალხს: რა ხდება ახალი ქალაქის ან სახელმწიფოს ცხოვრებაში, რა ძვირდება და რა იაფდება, რა ხალხია ჩარჩები, მოყვრები არიან ისინი ხალხის, თუ მტრები. ვინ გაიგებს სოფლის მღვდელზე და მასწავლებელზე უკეთ, თუ მოინდომებენ, სოფლის ტკივილებს? ვინ დგას მათზე უფრო ახლო ხალხთან? ვის ენდობა ხალხი მღვდელსა და მასწავლებელზე უფრო? მე მაკვირვებს მათი უმოქმედობა ამ მხრით. მაპატიონ და უნდა მოვაგონო მათ პოეტის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელსა კი არა რა არგოს".

საჭიროა სიტყვა, საჭიროა საქმე!.. აქიდანვე უნდა ფხიზლად შეუდგეს მოქმედებას საზოგადოების შეგნებული ნაწილი, ესა თუ ის საზოგადოება (სამეურნეო საზოგადოება და სხ.) საჭიროა აქიდანვე გამონახოს გზა, საშუალება, რომ მომავალ წელში მაინც არ გახდეს გაძვალტყავებული ხალხი მსხვერპლად, ადამიანურ მოქმედებაზე ხელ აღებულ,—ზოგიერთ ვაჭრებისა და სოფლად თავისუფლად მოსეირნე „ენაჭახრაკ" ვაჭრუკა ჩარჩებისა.

თუ რა გზა, თუ რა საშუალებ[illegible] არის საჭირო ამ სიმპატიურ საქმის სისრულეში მოსაყვანად,. ამაზე [illegible] გაგვიზიარებენ ის სპეციალისტები, რომლებიც ჩვენი ხალხის [illegible] აფიქრებს და აწუხებს.

**გორგი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება მომეცით გამოვიწვიო თქვენი გაზეთის საშუალებით სამედიატორო სამართალში ბ. გ. ებრალიძე, რომელმაც, არ ვიცი რა მოსაზრებით, ისეთი ბრალი დამდო, როგორიც არის ქურდ-ბაცაცობა („სამშობლო" № 63). ჩემს მაგიერ მედიატორებათ ვასახელებ ბ. პართენ ებრალიძეს და ბ. ვოტე იმნაძეს. თუ ბ. გ. ებრალიძე, დღიდან ამ წერილის დასტამბვისა ერთი კვირის განმავლობაში არ დაასახელებს თავის მედიატორებს, მე იძულებული ვიქნები მივმართო იფიციალურ სასამართლოს.

პატივისცემით **ირაკლი ბარამიძე.**

---

ჩვენი დარბეული და აწიოკებული ძმების—აჭარლების უნუგეშო მდგომარეობა გავაცანი ჩემს მრევლს 30 აპრილს—დღეთ ამაღლებას ეკლესიაში წირვის გათავების შემდეგ. უდანაშაულოთ დასჯილი აჭარლების მდგომარეობამ ყველანი დიდათ დაადონა და ზოგიერთმა მათგანმა თავისი თანაგრძნობა ჩვენი მაჰმადიანი ძმებისადმი საქმითაც დაამტკიცა და მცირეოდენი წვლილი გამოიღეს. აი სია შემომწირველთა: მართა მაჭავარიანისამ—6 მ., ეკატერინე მაჭავარიანისამ—7 მ., ეფროსინე თქრომშედლიძისამ—1 აბაზი, ვერა ოქრომშედლიძემ—1 აბაზი, დარია ავალიშვილმა—10 შ., თინათინ ბუაჩიძემ—6 შ., ლევანტი ნიკაჟაძემ—1 აბ., ეფრემ გიორგაძემ—1 აბ., ზაზა ავალიშვილმა—10 შ., მიხეილ ავალიშვილმა—1 აბ., მიხეილ ოქრომშედლიძემ—1 აბ., ნიკოლა მდინარაძემ (10 წ. ვაჟია)—1 შ., გოგიტა მდინარაძემ (12 წ. ვაჟ.)—5 შ., ელიზბარ მდინარაძემ (9 წ. ვაჟ.)—2 აბ., არჩილ მდინარაძემ—1 აბ., გრიშა მდინარაძემ (8 წ. ვაჟია)—1 აბ., ზებიკა მდინარაძემ (11 წ. ვაჟია)—1 აბ., გრიგოლ ელიავამ—1 აბ., სიმა გვამილავამ (7 წ. ვაჟია)—1 აბ., გრიგოლ გვამილავამ—1 აბ., ნოე მდინარაძემ (8 წ. ვაჟია)—3 შ., კონსტანტინე ბუჩნაძემ—10 შ., კიტა ბუაჩიძემ—5 შ, მელიტონ ავალიშვილმა—5 შ. და სრულიად შესდგა ექვსი მანეთი, რომელსაც აქვე გასხლებთ და გთხოვთ სია შემომწირველთა გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში.*)

მღვდელი **მიხეილ ბუაჩიძე.**

*) ეს ფული რედაქციამ მიიღო და გადასცა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ხაზინადარს გრიგოლ ივანეს ძეს გველესიანს. **რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ.
წ.